ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი N 7

14.07. 2022

დღის წესრიგი:

1. სტუდენტთა შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების კონკურსის კომისიაში ცვლილება;
2. სილაბუსების დამტკიცება;
3. ლ. სურმანიძის სადოქტორო პროგრამის: "კულტურული პერსონოლოგია, ფსიქ. ანთროპოლოგია და მიგრაციის კვლევები" დამტკიცება;
4. დ. სუბელიანის დიპლომის მონაცემთა შექმნა;
5. ფაკულტეტის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტების ხელმძღვანელების დამტკიცება;
6. ფაკულტეტის პროფესორთა სამეცნიერო პროდუქტიულობის ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცება;
7. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების პირობებისა და მონიტორინგის წესში ცვლილებების დამტკიცება;
8. თ. გაგოშიძის შემოქმედებითი შვებულება;
9. ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ხელმძღვანელის განთავისუფლება მისი განცხადების საფუძველზე და ახალი ხელმძღვანელის წარდგენა.
10. სხვა

ფაკულტეტის საბჭოს სხდომა გაიმართა ონლაინ, ზუმის აპლიკაციის მეშვეობით.

განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული მასალები წინასწარ გაეგზავნათ საბჭოს წევრებს.

სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს თავჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორები :

ია კუტალაძე, ვახტანგ ნადარეიშვილი, მზია წერეთელი, ლალი სურმანიძე

ასოცირებული პროფესორები:

მანანა მელიქიშვილი, ირინე ჟვანია, ეკატერინე ფირცხალავა, ლუიზა არუთინოვი, ხათუნა მარწყვიშვილი, თამარ აბაშიძე, მაია მესტვირიშვილი, ია აფთარაშვილი, ნინო ლაბარტყავა, შორენა მამუკაძე, მადეა დესპოტაშვილი, თეონა ლოდია.

<u>განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>

ასოცირებული პროფესორი :

იზაბელა პეტრიაშვილი, ზაქარია ქიტიაშვილი

კენჭისყრაში სულ მონაწილეობდა **18 წევრი**

განიხილეს:

1. **სტუდენტთა შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების კონკურსის კომისიაში ცვლილება**

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ რადგანაც განათლების მეცნიერებათა დეპრატემენტის ხელმღვანელი შეიცვლა და ასევე კომისიის წევრმა ქ. ბაქანიძემ შეიცვალა პოზიცია, საჭიროა სტუდენტთა შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების კონკურსის კომისიაში ცვლილება. მან დააყენა კომისიის ახალი წევრების კანდიდატურები: ირმა ბოლქვაძე და ასოცირებული პროფესორი რუსუდან სანაძე.
კომისიაში ქეთევან ბაქანიძის ნაცვლად ირმა ბოლქვაძის, ხოლო პროფესორ ქეთევან ჭკუასელის ნაცვლად კი - ასოცირებული პროფესორის რუსუდან სანაძის კანდიდატურები დააყენეს.

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა კომისიის ახალ კანდიდატურებს:

მომხრე: 18
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: სტუდენტთა შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების კონკურსის კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ: ირმა ბოლქვაძე და რუსუდან სანაძე.

2. **სილაბუსებში შესული ცვლილებების დამტკიცება**

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა, მანანა მელიქიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს წარუდგინა სილაბუსებში შესული ცვლილებები. კერძოდ, ცვლილებები შევიდა:
საბაკალავრო პროგრამა „ფსიქოლოგია“.

სილაბუსები:

- ფსიქოდიაგნისტიკის საფუძვლები (ლ. არუთინოვი)

ცვლილება: დაზუსტდა შეფასების კრიტერიუმები, დაემატა 1 შუალედური გამოცდა.

საფუძველი: აღნიშნული ცვლილებები ეყრდნობა წინა სემესტრში მიღებულ პრაქტიკულ გამოცდილებას.

- მონაცემთა ანალიზი SPSS–ის გამოყენებით (ხ. მარწყვიშვილი)

ცვლილება: შეიცვალა შეფასების კრიტერიუმები, დაემატა შესასწავლი საკითხები.
საფუძველი: სწავლების გამოცდილების გათვალისწინება.

- ფსიქოანალიზის ძირითადი ცნებები (მ. ჩიტაშვილი)

ცვლილება: დაზუსტდა შეფასების ქულების გადანაწილება; მითითებული იქნა სემინარებისთვის საშინაო დავალების შესრულებისთვის სიტყვების რაოდენობა და დასაშვები ცდომილების % რაოდენობა.
საფუძველი: შეფასების კრიტერიუმების დახვეწა.

- ვექსლერის ინტელექტის სკალა ბავშვებისთვის – მეოთხე გამოცემა (შ. მამუკაძე))

ცვლილება: გაიზარდა კრედიტების და საათების საერთო რაოდენობა.
საფუძველი: სწავლების პროცესში გამოვლინდა, რომ საათების საერთო რაოდენობა არ არის საკმარისი სილაბუსით გაწერილი სწავლის შედეგების მისაღწევად.

- არავერბალური კომუნიკაცია (ა. ქიტიაშვილი)

ცვლილება: ახალი სილაბუსი
საფუძველი: პროგრამის კურიკულუმის გამრავალფეროვნება.

- ადამიანის განვითარება 1 (მ. მელიქიშვილი)

ცვლილება: დაზუსტდა სასწავლო კურსის შეფასების კრიტერიუმები.
საფუძველი: სასწავლო კურსის გაუმჯობესება.

- ადამიანის განვითარება 2 (მ. მელიქიშვილი)

ცვლილება: დაზუსტდა სასწავლო კურსის თემატიკა.
საფუძველი: სასწავლო კურსის გაუმჯობესება.

- ბავშვთა მიმართ ძალადობა (მ. მელიქიშვილი)

ცვლილება: დაზუსტდა სასწავლო კურსის შეფასების კრიტერიუმები.
საფუძველი: სასწავლო კურსის გაუმჯობესება.

- ემოციური სფეროს და ადაპტაციური ქცევის შეფასება (თ. გაგოშიძე)

ცვლილება: გაიზარდა კრედიტების და საათების საერთო რაოდენობა.
საფუძველი: სწავლების პროცესში გამოვლინდა, რომ საათების საერთო რაოდენობა არ არის საკმარისი სილაბუსით გაწერილი სწავლის შედეგების მისაღწევად.

სამაგისტრო პროგრამა – განათლების ფსიქოლოგია.

სილაბუსები:

- პრაქტიკა– განათლების პრაქტიკულ ფსიქოლოგიაში (ს.თოვდორაძე)

ცვლილება: დასწრების ქულა ჩანაცვლდა აქტიობის ქულით.
საფუძველი: აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაცია.

- ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდები ბავშვებისა და მოზარდებისთვის (ს. თევდორაძე)

ცვლილება: შეიცვალა შეფასების კმპონენტები.
საფუძველი: სასწავლო კურსის გაუმჯობესება.

სამაგისტრო პროგრამა – გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგია:

სილაბუსები:

1. გავლენების ფსიქოლოგია (ე. ფირცხალავა);
2. კროს-კულტურული ფსიქოლოგია (მ.დესპოტაშვილი);
3. პოლიტიკური ფსიქოლოგია (ე. კვანჭილაშვილი);
4. ჯგუფების ფსიქოლოგია (მ. გიორგაშვილი);
5. მასობრივი კომუნიკაცია: კულტურული და პოლიტიკური ასპექტები (ე. კვანჭილაშვილი);
6. მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით (მ.დესპოტაშვილი);
7. კვლევის რაოდენობრივი მეთოდები (ე. ფირცხალავა);
8. კვლევის თვისებრივი მეთოდები (ე. ფირცხალავა);
9. სოციალური ფსიქოლოგია (ე. ფირცხალავა);
10. დამარწმუნებელი კომუნიკაცია (მ.დესპოტაშვილი);
11. ემოციური და ქცევითი გავლენები (ე. ფირცხალავა);
12. მოზარდთა სუბკულტურები და მედია (თ.ბანძელაძე);
13. სტიგმა და სტრესი (მ.მესტვირიშვილი);
14. ინტერპერსონალური კომუნიკაცია (მ.დესპოტაშვილი);
15. FakeNews ის ფსიქოლოგია (ე. კვანჭილაშვილი);
16. საზოგადებასთან ურთიეთოება, პოლიტიკური მარკეტინგი და სპინი (hate speech) (ე. კვანჭილაშვილი);
17. პოლიტიკური კომუნიკაციის ფსიქოლოგია (ე. კვანჭილაშვილი);
18. პოლიტიკური იდეოლოგია (ს. დუნდუა);
19. მოქალაქეობა და პოლიტიკური ქცევა (ე. მაღლაკელიძე).
20. პოლიტიკური ქცევის ანალიზი
21. კროსკულტურული კომუნიკაცია
22. გამოყენებითი კროს-კულტურული ფსიქოლოგია
23. ახალი მედია და პოლიტიკა
24. კონფლიქტების მართვა (პოლიტიკური, კროსკულტურული კონფილქტები)
25. ვიზუალური კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში.

ცვლილება: სილაბუსებში დასწრების კომპონენტი ჩანაცვლდა აქტიობის და ანალიტიკური ესეს კომპონენტით. დაემატა ახალი ლიტერატურა.
საფუძველი: აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაცია.

განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი:

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა /300 - კრედიტი/.

სილაბუსები:

- ციფრული სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენების საფუძვლები ახალ სასწავლო გარემოში (ი. პეტრიაშვილი).

ცვლილება: ახალი სილაბუსი
საფუძველი: ზემოაღნიშნული სასწავლო კურსი შემუშავებულია Erasmus + პროექტის DITECH - ტექნოლოგიებით გაძლიერებული სწავლება და სწავლა საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში (Developing and Implementing Technology-Enhanced Teaching and Learning at Georgian HEIs) (2021-2024წწ.) ფარგლებში, რომლის პირობების მიხედვით უნდა მოხდეს ამ კურსის ინტეგრირება განათლების დეპარტამენტის კურიკულუმებში.

- პედაგოგიკა 2 (ქ. ჭკუასელი, თ. დოლიძე).

ცვლილება: შეიცვალა საათების რაოდენობა
საფუძველი: - პრაქტიკამ აჩვენა, რომ 2 საკონტაქტო საათის პირობებში სტუდენტები ვერაფრით ასწრებენ მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანი ნაწილის, დიდაქტიკის საფუძვლიანად გავლას. პროგრამაში ეს კურსი წარმოდგენილი იყო 5-კრედიტით და 60 საკონტაქტო საათით. პროგრამის აკრედიტაციის შედეგად 2 კრედიტი დაეთმო პასიურ პრაქტიკას, შესაბამისად კურსი გადაკეთდა 3-კრედიტიანად 2 საკონტაქტო საათით, რამაც საგრძნობლად დააზარალა კურსი. 1 საკონტაქტო საათის დამატება პრაქტიკულ ნაწილსაც შეინარჩუნებს და თეორიულ ნაწილსაც გააუმჯობესებს.

- ემოციური და ქცევითი დარღვევების მქონე მოსწავლეთა სწავლება (თ. აბაშიძე, ი.ჟვანია).

ცვლილება: ახალი სილაბუსი
საფუძველი: აღნიშნული საკითხების შესწავლა მნიშვნელოვანია მასწავლებლის პროფესიისთვის

პროგრამის სახელწოდება: დამატებით/minor/პროგრამა.
სილაბუსი:

- განათლების ფსიქოლოგია (მ. წერეთელი)

ცვლილება: განახლდა სასწავლო თემატიკა და ლიტერატურა, შეიცვალა საკონტაქტო საათების რაოდენობა.
საფუძველი: სასწავლო კურსის გაუმჯობესება

სამაგისტრო პროგრამა - განათლების მეცნიერებები
სილაბუსები:

- უმაღლესი და პროფესიული განათლების საერთაშორისო ეკოსისტემა – Ecosystem of Tertiary Education (გ.შარვაშიძე)

ცვლილება: ახალი სილაბუსი
საფუძველი: კურიკულუმის გამრავალფეროვნება. აღნიშნული კურსი პროგრამაზე აპრობაციას გადიოდა წინა სემესტრში, რის შედეგადაც გადაწყდა კურსის არჩევით კურსებში მოაზრება.

- განათლების ფილოსოფია (თ.გეგეშიძე)

ცვლილება: შეიცვალა საგანზე დაშვების წინაპირობა.
საფუძველი: პრაქტიკამ აჩვენა, რომ ფილოსოფიის ძირითადი საფუძვლების გავლის გარეშე, სტუდენტებს უჭირთ განათლების ფილოსოფიის გაგება.

- ფილოსოფიის ძირითადი საკითხები (თ. გეგეშიძე)

ცვლილება: სასწავლო საგანი გახდა 3 კრედიტიანი არჩევითი საგანი.
საფუძველი: პრაქტიკამ აჩვენა, რომ ფილოსოფიის ძირითადი საფუძვლების გავლის გარეშე, სტუდენტებს უჭირთ განათლების ფილოსოფიის გაგება.

- სამოქალაქო განათლება (გ. პაპუაშვილი, გ. სოფრომაძე)

ცვლილება: განახლდა შეფასების კრიტერიუმები და საგნის შინაარსი.
საფუძველი: სასწავლო კურსის გაუმჯობესება.

- საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლასა და სწავლებაში (ი. პეტრიაშვილი).

ცვლილება: ახალი კურსი
საფუძველი:ზემოაღნიშნული სასწავლო კურსი შემუშავებულია Erasmus + პროექტის DITECH - ტექნოლოგიებით გაძლიერებული სწავლება და სწავლა საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში (Developing and Implementing Technology-Enhanced Teaching and Learning at Georgian HEIs) (2021-2024წწ.) ფარგლებში, რომლის პირობების მიხედვით უნდა მოხდეს ამ კურსის ინტეგრირება განათლების დეპარტამენტის კურიკულუმებში.

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა სილაბუსებში წარმოდგენილ ცვლილებებს.

მომხრე: 18
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილ სილაბუსებში შესული ცვლილებები.

3. ლ. სურმანიძის სადოქტორო პროგრამის: "კულტურული პერსონოლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და მიგრაციის კვლევები" დამტკიცება

ასოცირებულმა პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წევრებს მოკლედ მოახსენა აკრედიტაციისათვის მომზადებული ახალი სადოქტორო პროგრამის შესახებ: სადოქტორო პროგრამა დაფუძნებულია საქართველოს ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს და თსუ–ს დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტის მოთხოვნებზე. სადოქტორო პროგრამა აღწერს და განსაზღვრავს პროგრამის სახელწოდებას, უმაღლესი განათლების საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, კრედიტების

რაოდენობას, პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, სწავლება-სწავლის მეთოდებს, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემას, დასაქმების სფეროებს, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ადამიანურ რესურსსა და სტრუქტურას.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს 50 კრედიტს (სავალდებულო სასწავლო კომპონენტი შეადგენს 40 კრედიტს, ხოლო არჩევითი სასწავლო კომპონენტი შეადგენს 10 კრედიტს). კვლევითი კომპონენტებიდან სავალდებულოა: 2 კვლევითი პროექტი (სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში) და სადისერტაციო ნაშრომი.

ფაკულტეტის საბჭომ განიხილა წარდგენილი სადოქტორო პროგრამა. ფაკულტეტის საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა პოზიტიურად შეაფასეს. ფაკულტეტის საბჭოს წევრებისთვის მისაღები აღმოჩნდა სადოქტორო პროგრამის მიზნები და შედეგები, ასევე სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტით გათვალისწინებული მოთხოვნები. ფაკულტეტის საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შენიშვნა ან კომენტარი წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით,

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა აკრედიტაციისათვის წარდგენილ სადოქტორო პროგრამას „კულტურული პერსონოლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და მიგრაციის კვლევები“.

მომხრე: 18

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ახალი სადოქტორო პროგრამა "კულტურული პერსონოლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და მიგრაციის კვლევები".

4. **დ. სუბელიანის დიპლომის მონაცემთა შექმნა**

ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა, ასოცირებულმა პროფესორმა ირინე ჟვანიამ საბჭოს წარუდგინა 1999 წლის კურსდამთავრებული დავით სუბელიანის სახელზე ახალი მოქმედი ფორმით დიპლომის გაცემის საკითხი. ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ დავით თენგიზის ძე სუბელიანი 1995 წელს (ბრძ.N4/508,09.08.1995წ.) ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ფსიქოლოგიის სპეციალობაზე. ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის 16 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი უნომრო) გადაწყვეტილებით ფსიქოლოგიის ფაკულტეტის შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის განყოფილების კურსდამთავრებულ დავით სუბელიანს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობით. 1999 წელს (ბრძ. N4/677, 19. 07. 1999 წ.) ივანე

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დღის დასწრებული სწავლების შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულ დავით თენგიზის ძე სუბელიანს მიენიჭა ფსიქოლოგის (კვალიფიკაცია), ფსიქოლოგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგიის მასწავლებლი.

1999 წელს აღნიშნული ბრძანებით საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულა 55-მა ბაკალავრმა. წარმოგიდგენთ ზემოარნიშნულ კურსდამთავრებულთა ნაწილობრივ (შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სპეციალობის) სიას:

„მიეცეთ შესაბამისი დიპლომი ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დღის დასწრებული სწავლების შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სპეციალობით კურსდამთავრებულებს და მიენიჭოს ფსიქოლოგის (კვალიფიკაცია), ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგიის მასწავლებელი.

დიპლომი წარჩინებით

1. ჯანჯღავა ირინე ბორისის ას
2. სუბელიანი დავით თენგიზის ძე
3. კუტალაძე თინათინ აპოლონის ას

დიპლომი ჩვეულებრივი

1. ბეზარაშვილი ქეთევან ნუგზარის ას
2. გაწერელია ნინო ნიკოლოზის ას
3. გაბელაია ია ჟუკის ას
4. ხუხუნაშვილი დავით გელას ძე
5. არდაზაშვილი ლალი გიორგის ას

ვინაიდან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ვერ დგინდება დავით სუბელიანის სახელზე გასაცემი ახალი დიპლომის ფორმისათვის სავალდებულო მონაცემები, კერძოდ, აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი და აკადემიური ხარისხი საჭიროა ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის ოქმებში შევიდეს შემდეგი შესწორება:

15 ივნისის სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმს მიენიჭოს #1,

15 ივნისის სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმს (ნატა ბარათაშვილი) მიენიჭოს #2 და (ორივე შემთხვევაში) დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია:

ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობა, ფსიქოლოგიის მასწავლებელი.

15 ივნისის ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმს მიენიჭოს #3, 15 ივნისის ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმს (თინათინ კეშელავა და ა.შ.) მიენიჭოს #4 და (ორივე შემთხვევაში) დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია:

ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობა, ფსიქოლოგიის მასწავლებელი;

16 ივნისის ასაკობრივი და პედაგოგიური სპეციალობის ოქმს მიენიჭოს #5 და დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია:

ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის სპეციალობა, ფსიქოლოგიის მასწავლებელი;

16 ივნისის შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმს მიენიჭოს #6 და დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია:

ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობა ფსიქოლოგიის მასწავლებელი.

აღნიშნულს ნომრებს წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ“ (პირობითი) ნომრის პირობითობის აღსანიშნავად. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში.

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე: 18

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 1999 წლის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 16 ივნისის შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობის სხდომის ოქმში მითითებულ კურსამთავრებულთა, მათ შორის დავით სუბელიანის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომრად განისაზღვროს #6/პ და განისაზღვროს შემდეგი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაცია,

შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობა, ფსიქოლოგიის მასწავლებელი. 15 ივნისის სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმს #1/პ, 15 ივნისის სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმს (ნატა ბარათაშვილი) #2/პ და (ორივე შემთხვევაში) განისაზღვროს კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობა, ფსიქოლოგიის მასწავლებელი. 15 ივნისის ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმს #3/პ, 15 ივნისის ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმს (თინათინ კეშელავა და ა.შ.) #4/პ და (ორივე შემთხვევაში) განისაზღვროს კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობა, ფსიქოლოგიის მასწავლებელი; 16 ივნისის ასაკობრივი და პედაგოგიური სპეციალობის ოქმს #5/პ და განისაზღვროს კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის სპეციალობა, ფსიქოლოგიის მასწავლებელი.

ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში.

5. **ფაკულტეტის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტების ხელმძღვანელების დამტკიცება**

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს შეახსენა სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტების ხელმძღვანელების როტაციის საკითხი. მან აღნიშნა, რომ სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტების ხელმძღვანელები, ვისაც გაუვიდა ვადა უნდა შეიცვალონ. ამ ეტაპზე სოციალური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტს აქვს წარმოდგენილი ასოცირებული პროფესორის ეკატერინე ფირცხალავას კანდიდატურა სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელის პოზიციაზე.

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელად ასოცირებული პროფესორის ეკატერინე ფირცხალავას დანიშვნას.

მომხრე: 18
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ფირცხალავა დაინიშნოს სოციალური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელად.

6. **ფაკულტეტის პროფესორთა სამეცნიერო პროდუქტიულობის ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცება**

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა ცვლილებები, რომელიც უნდა აისახოს პროფესორთა სამეცნიერო პროდუქტიულობის ხელშეწყობის პროგრამაში. ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურმა თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და აგანვითარების დეპარტამენტთან შეთანხმებით იმუშავა აღნიშნულ პროგრამაზე და შეიტანა ცვლილებები, რომელიც დაეგზავნათ საბჭოს წევრებს გასაცნობად. კერძოდ სამეცნიერო პროდუქტიულობის ხელშეწყობის პროგრამის მე-2 პუნქტი შეიცვალოს შემდეგნაირად:

2. ჯილდო გამოიყოფა აკადემიური პერსონალის ავტორობით/თანაავტორობით თსუ სახელით გამოქვეყნებულ (დასაბეჭდად მიღებულ) სტატიაზე ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია SCOPUS ან Web of Science ბიბლიომეტრულ ბაზებში.

   მე-3 პუნქტად დაემატოს:

3. საკონკურსოდ წარდგენილი სტატიის საკონკურსოდ აქტიური პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს მისი გამოქვეყნებიდან 2 წელს.

   მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

   9. ჯილდო გაიცემა ფაკულტეტის სამეცნიერო სამსახურის მიერ, აპლიკანტის განცხადების პროგრამის პირობებთან შესაბამისობის დადგენის შემდგომ, ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაციითა და წარდგინებით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე.

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა აღნიშნულ ცვლილებებს.

მომხრე: 18

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

შევიდეს ცვლილება თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო პროდუქტიულობის ხელშეწყობის პროგრამაში:

მე-2 ქუნქტი: ჯილდო გამოიყოფა აკადემიური პერსონალის ავტორობით/თანაავტორობით თსუ სახელით გამოქვეყნებულ (დასაბეჭდად მიღებულ) სტატიაზე ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია SCOPUS ან Web of Science ბიბლიომეტრულ ბაზებში და მოწონებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ;

მე-3 პუნქტი: პუბლიკაციის საკონკურსო პერიოდად განისაზღვროს გამოქვეყნებიდან 2 წელი და მესამე პუნქტი გაფორმდეს შემდეგი რედაქციით:

საკონკურსოდ წარდგენილი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს ჯილდოს მოთხოვნის ან წინა კალენდარულ წელს.

მე-9 პუნქტი: ჯილდო გაიცემა ფაკულტეტის სამეცნიერო სამსახურის მიერ, აპლიკანტის განცხადების პროგრამის პირობებთან შესაბამისობის დადგენის შემდგომ, ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაციითა და წარდგინებით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე.

დამტკიცდეს პროფესორთა სამეცნიერო პროდუქტიულობის ხელშეწყობის პროგრამის ახალი ვერსია დანართითურთ და გამოქვეყნდეს ფაკულტეტის ვებ გვერდზე.

7. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების პირობებისა და მონიტორინგის წესში ცვლილებების დამტკიცება

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა ცვლილებები, რომელიც უნდა აისახოს თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების პირობებისა და მონიტორინგის წესში. საბჭოს წევრებს უკუკავშირისთვის დაგზავნილი ჰქონდათ დოკუმენტი ცვლილებებით. ძირითადად ცვლილება ეხება ფორმულირებას ქულების რაოდენობის შესახებ და ასევე „ა“ და „ბ“ კატეგორიის პროფესორების მიერ შერულებულ ქულათა დიფერენცირებას.

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა აღნიშნულ ცვლილებებს და მიიღო ერთხმად.

მომხრე: 18

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

შევიდეს ცვლილება თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების პირობებისა და მონიტორინგის წესში შემდეგი ფორმულირებით:

„ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის სავალდებულო მინიმალური სამეცნიერო დატვირთვა ერთი კალენდარული წლის განმავლობაში წარმოადგენს 120 ქულას, ხოლო „ბ“ კატეგორიისთვის - 100 ქულას. ქულები შეიძლება დაგროვდეს ქვემოთმოცემული კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით (კომპონენტების შესატყვისი ქულობრივი განაწილება მოცემულია დანართი 1-ში). სავალდებულო მინიმალური სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის თითოეული შემადგენელი ნაწილის (დატვირთვის შემადგენელი კომპონენტები, თავიანთი ქულობრივი წილით) გადაჭარბებით შესრულება ყველა კატეგორიის აკადემიური პერსონალისათვის შესაბამისად აისახება ქულობრივ ზრდაზე, გარდა ხსენებული დანართით გათვალისწინებული მე-

8 კომპონენტისა, ხოლო ხსენებული დანართით გათვალისწინებული მე-7 კომპონენტი მხოლოდ ორმაგდება.

8. პროფესორ თ. გაგოშიძის სამეცნიერო- შემოქმედებითი შვებულების საკითხი

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ განცხადებით მიმართა საბჭოს წევრებს, სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების შესახებ. პროფესორმა თამარ გაგოშიძემ აღნიშნა, რომ დაწყებული აქვს მუშაობა წიგნზე ბავშვის განვითარების დარღვევებზე და სახელმძღვანელო ნეიროფსიქოლოგიაში. მას სჭირდება დრო პუბლიკაციისთვის მოამზადოს აღნიშნული წიგნები. მან საბჭოს მიმართა თხოვნით, რომ მხარი დაუჭირონ მის სამეცნიერო- შემოქმედებით შვებულებას 2022 წლის 1 სექტემბრიდან 2023 წლის 1 მარტამდე.

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა პროფესორ თამარ გაგოშიძისთვის სამეცნიერო-შემოქმედებით შვებულების გამოყოფის საკითხს.

მომხრე: 18

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: პროფესორ თამარ გაგოშიძეს მიეცეს უფლება ისარგებლოს სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულებით 2022 წლის 1 სექტემბრიდან 2023 წლის 1 მარტამდე და ეშუამდგომლოს აკადემიურ საბჭოსთან

8. ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ხელმძღვანელის გათავისუფლება მისი განცხადების საფუძველზე და ახალი ხელმძღვანელის წარდგენა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ასოცირებულმა პროფესორმა მაია რობაქიძემ განცხადების საფუძველზე ითხოვა ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლება. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ახალი ხელმძღვანელის არჩევის საკითხი. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ხელმძღვანელის ახალი კანდიდატურა - ასოცირებული პროფესორი მედეა დესპოტაშვილი.

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა ახალ კანდიდატურას.

მომხრე: 18

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: ასოცირებული პროფესორი მედეა დესპოტაშვილი დაინიშნოს ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

საბჭოს მდივანი: ასოცირებული პროფესორი ირინე ჟვანია